# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №4134-110301

## პროგრამის „SuperFin 6" შესახებ

**(ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 1 მარტი

**ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ – შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები",** (შემდგომში მიმწოდებელი), მომხმარებლებთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორის, ცირა პაქსაშვილის სახით, და მეორეს მხრივ ქ. მარნეულის მე-6 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი), მისი დირექტორის მურად მაისურაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დამკვეთი უფლებამოსილია დაუკვეთოს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია მოახდინოს პროგრამების "SuperFin 6" ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის მიწოდება, რომელთა გამოყენების საფუძველზეც დამკვეთს ექნება შესაძლებლობა:

- დააინსტალიროს პროგრამა „SuperFin 6" საკუთარ კომპიუტერ(ებ)ზე.
- ინტერეტის გამოყენებით შემსრულებლის სერვერიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, სისტემატიურად განაახლოს შესაბამისი პროგრამა „SuperFin 6".

## 2. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება, გადახდის ვადები და პირობები

2.1 "SuperFin 6" ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ევროს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით და მასზე მომსახურების ვადა განისაზღვრება 31/12/2011 თარიღამდე. აღნიშნული თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

2.2 მომსახურების მოქმედების ვადის 1 თვით გასაგრძელებლად გადასახადის ღირებულება პროგრამულ პროდუქტზე "SuperFin 6" ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამისთვის განისაზღვრება 10 (ათი) ევროს ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

2.3 შემდგომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად მომსახურების მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის საჭირო ღირებულებას დამატებული უკვე გაწეული დამატებითი მომსახურების ღირებულება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით.

შემსყიდველი ____________ მიმწოდებელი ____________

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**11.1** ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

**11.2** ხელშეკრულების ხელმომწერნი ვალდებულნი არიან წერილობით ან ელექტრონული ფოსტით აცნობონ ერთმანეთს მომსახურების შეწყვეტის შესახებ მინიმუმ ათი სამუშაო დღით ადრე.

**11.3** მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველს ეძლევა პროგრამასთან შეზღუდული მუშაობის საშუალება. მიმწოდებელი იტოვებს უფლებას თვითონ განსაზღვროს ამ შეზღუდვების ფარგლები.

**11.4** ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

**12.1** შემსყიდველი: ქ. მარნეულის #6 საჯარო სკოლა

იურიდიული მისამართი:

3000, მარნეული, მუსხელიშვილის #1

საბანკო მონაცემები:

სს ,,ლიბერთი ბანკის" მარნეულის ფილიალი კოდი LBRTGE22

ა/ა GE16LB0121181655072000

**12.2** მიმწოდებელი: შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"

იურიდიული მისამართი:

0159, თბილისი, დიღმის მასივი, 1 კვარტალი, 1 ბ კორპუსი, ბინა 86

საბანკო მონაცემები:

სს "თი ბი სი ბანკი" კოდი TBCBGE22 ა/ა GE41TB0600000027467795

შემსყიდველი                                                                 მიმწოდებელი

ბ.ა.                                                                                   ბ.ა.

შემსყიდველი ________                                              მიმწოდებელი ________